

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი
პრიორიტეტების დოკუმენტი



2017 წელი

შინაარსი

I. შესავალი.....	I-3
II. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საპასპორტო მონაცემები.....	II-4
1. გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივ -კლიმატური პირობები.....	II-4
2. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები	II-5
3. დემოგრაფია, ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა და სოციალური ფონი.....	II-6
4. ტრანსპორტი, გარემოს დაცვა და კომუნალური ინფრასტრუქტურა.....	II-8
5. მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის, რეკრეაციის დაწესებულებები და მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობა	II-9
6. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა.....	II-11
7. ხელისუფლება და ბიუჯეტი.....	II-12
III. მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი.....	III-13
IV. მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია.....	IV -17
ა) საგარეჯოს განვითარების საშუალოვადიანი ხედვა.....	IV-17
ბ) საგარეჯოს განვითარების საშუალოვადიანი მისია.....	IV -17
V. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები.....	V -17

I. შესავალი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოციო-ეკონომიკური და კულტურული განვითარება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისათვის მათ საჭიროებებზე დაფუძნებული მომსახურების მიწოდებას მოითხოვს. შეზღუდული რესურსების პირობებში უადრესად მნიშვნელოვანია თვითმმართველი ერთეულის მიერ პრიორიტეტების სწორად გამოკვეთა და სახსრების ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფა. ამდენად, მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი დაგეგმვა მნიშვნელოვანია თვითმმართველი ერთეულის განვითარებისთვის.

საშუალოვადიანი პროგრამა ორიენტირებულია საგარეჯოში სამრეწველო, სავაჭრო და ტურისტული სექტორების განვითარებაზე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, რათა შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები და გაიზარდოს მოსახლეობის რეალური შემოსავლები, მოხდეს სიღარიბის ეტაპობრივი დაძლევა და სოციალური ფონის გაუმჯობესების ხელშეწყობაზე.

2017-2020 წლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას, კულტურის, სპორტისა და დასვენების სფეროების განვითარებას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჩართული იყო საშუალოვადიანი დაგეგმვის პროცესით დაინტერესებული ყველა მხარე: მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოება, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის წარმომადგენლები. ამდენად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში ასახული იქნება მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების წინამდებარე პროექტთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული უკუკავშირი და მოსაზრებები.

2017-2020 წლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება
- გარემოს დაცვა და ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია
- სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
- ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა
- კულტურის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობა

II. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საპასპორტო მონაცემები

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივ-კლიმატური პირობები



საგარეჯოს მუნიციპალიტეტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის მხარეში. საგარეჯოს მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება გარდაბნისა და მცხეთის მუნიციპალიტეტები, აღმოსავლეთით - სიღნაღისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით - თელავის, თიანეთისა და ახმეტის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით კი აზერბაიჯანის რესპუბლიკა ესაზღვრება. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ფართობი 1491 კმ²-ია, აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულს 94 371 ჰა უკავია, 42 065 ჰა კი - ტყეებს. მუნიციპალიტეტის რელიეფი ზღვის დონიდან 460 მ-იდან 1,800 მ-ის ფარგლებში იცვლება. კლიმატი ზონალობის მიხედვით განსხვავებულია. დაბალ ზონაში ზომიერად თბილი, სტეპური ჰავაა გაბატონებული, ხოლო შედარებით მაღალ ზონაში ზომიერად ნოტიო. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 11°C-12°C, ნალექის საშუალო წლიური მოცულობა კი 700-860 მმ. ნალექის მაქსიმუმი გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისში მოდის.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მთავარ ჰიდროგრაფიულ ქსელს მდინარე იორი ქმნის, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიას ორ ნაწილად ჰყოფს. მდინარე ივრიდან გამოყვანილია სამგორის ზემო მაგისტრალური არხი, რომლითაც თბილისის ზღვა საზრდოობს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარე ჩაილური (სიგრძე 30 კმ), რომელიც გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე იწყება და იტოტება.

აღსანიშნავია ასევე მცირეწყლიანი და მომცრო მდინარე ლაფიანხევი (სიგრძე 11,5 კმ), რომელსაც ღვარცოფული თვისებები გააჩნია და შემოდგომაზე წყალმოვარდნით ხასიათდება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება ასევე მდინარე გომბორი (სიგრძე 12,4 კმ), რომელიც სათავეს გომბორის მთებში იღებს და სუფთა წყლითა და ლამაზი ნაპირებით გამოირჩევა და მნიშვნელოვან მანძილზე ტყით შემოსილ უბნებში მიედინება. მდინარე გომბორს ერთი მიმართულება აქვს და მხოლოდ დასავლეთისაკენ გაედინება (თუ არ ჩავთვლით მდინარის შუა მონაკვეთს). მუნიციპალიტეტში არის ტბები, მათ შორის აღსანიშნავია

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი დოკუმენტი

უჯარმასთან არსებული ტბათა ჯგუფი, რომელიც მდიდარია თევზით და მეთევზეებში მეტად პოპულარულია.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტის ტერიტორია მრავალფეროვანია. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სამხრეთ ნაწილი გაშლილია ვაკე-ბორცვიან ივრის ზეგანზე, რომელიც აგებულია ნეოგენური და მეოთხეული ნალექი წყებებით. გეოლოგიურად იგი შედგება მონოკლინურ-ანტიკლინური მაღლობებისა და სინკლინური ვაკეფსკერიანი ტაფობებისაგან. ზეგნის რელიეფზე დაშენებულია მშრალი ხეობები, ხევები, ხრამები და ასევე ტერასები.

გომბორის ქედის მთისწინეთსა და ქვემო კალთებზე ჩამოყალიბებულია ტყის ყავისფერი ნიადაგი. ივრის ზეგანზე ფართოდაა განვითარებული მცირე და საშუალო სისქის შავმიწები, გვხვდება აგრეთვე წაბლა ნიადაგი. დიდი ფართობი უჭირავს სუსტად განვითარებულ სხვადასხვა ტიპის ნიადაგს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განვითარებულია სოფლის მეურნეობის შემდეგი მიმართულებები: მარცვლეულის წარმოება, მევენახეობა და მეცხოველეობა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის საერთო ფართობი - 92382 ჰა, აქედან, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობი - 56094 ჰა, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული - 38288 ჰა.

სახნავი მიწის საერთო ფართობი - 29845 ჰა, აქედან, კერძო საკუთრებაში 28048 ჰა, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში კი - 7797 ჰა.

მრავალწლიანი ნარგავების საერთო ფართობი 4816 ჰა-ს შეადგენს, რომელიც სრულად კერძო საკუთრებას წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტში სათიბ მიწას 1407 ჰა უკავია, საიდანაც 390 ჰა კერძო საკუთრებაა, ხოლო სახელმწიფო კი 1017 ჰა-ია. ხოლო საძოვრის საერთო ფართობი 56884 ჰა-ია, აქედან, კერძო საკუთრებაა 27410 ჰა, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაშია 29474 ჰა.

საკარმიდამო მიწის საერთო ფართობი 1430 ჰა-ს შეადგენს, აქედან სახნავია 889 ჰა, მრავალწლიანი - 447 ჰა, სათიბი - 10 ჰა, საძოვარი - 84 ჰა.

2. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 25 ადმინისტრაციული ერთეულია (ერთი ქალაქი და 44 სოფელი):

- ქ.საგარეჯოს ადმინისტრაციული ერთეული

ქ. საგარეჯო

- გომბორის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. გომბორი, სოფ. რუსიანი, სოფ. ვერონა, სოფ. ვაშლიანი, სოფ. ასკილაური

საგარეგოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი დოკუმენტი

- უჯარმის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. უჯარმა, სოფ. პაღდო, სოფ. მუხროვანი

- კოჭბაანის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. კოჭბაანი, სოფ. ოთარაანი, სოფ. სასადილო, სოფ. გორანა, სოფ. იკვლივ გორანა

- ხაშმის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. ხაშმი

- პატარძელის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. პატარძელი

- ნინოწმინდის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. ნინოწმინდა

- წყაროსთავის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. წყაროსთავი

- გიორგიწმინდის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. გიორგიწმინდა, სოფ. ანთოკი, სოფ. მარიამჯვარი

- თოხლიაურის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. თოხლიაური

- სათაფლეს ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. სათაფლე

- მანავის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. მანავი, სოფ. ზემო ბურდიანი

- დიდი ჩაილურის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. დიდი ჩაილური

- პატარა ჩაილურის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. პატარა ჩაილური

- კაკაბეთის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. კაკაბეთი

- ვერხვიანის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. ვერხვიანი

- ყანდაურის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. ყანდაურა, სოფ. ზემო ყანდაურა

- ზადიურის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. ზადიური

- მზისგულის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. მზისგული

- შიბლიანის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. შიბლიანი

- იორმულანლოს ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. იორმულანლო, სოფ. ქეშალო

- დუზაგრამის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. დუზაგრამა, სოფ. პაღდო, სოფ. წიწმატიანი

- ლამბალოს ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. ზემო ლამბალო, სოფ. ქვემო ლამბალო

- თულარის ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. თულარი, სოფ. კაზლარი

- უდაბნოს ადმინისტრაციული ერთეული

სოფ. უდაბნო

3. დემოგრაფია ასაკობრივ ჯგუფში და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 51 761 ადამიანი ცხოვრობს (2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით), აქედან ქალაქ საგარეჯოში - 10 871, სოფლებში - 40 890 ადამიანი.

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას.

- სახელმწიფო პენსიის მიმღები - 10089

- სკოლის მოსწავლე - 7129
- სკოლამდელი ასაკის ბავშვი - 1414
- მრავალშვილიანი - 11 (ოჯახი)
- მარტოხელა დედა - 12
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მქონე - 1099 მოქალაქე, მათ შორის 18 წლამდე ასაკის - 98
- მინდობით აღზრდაში - 4 ბავშვი
- სოციალური პაკეტის მიმღები - 1963 (ოჯახი)
- დევნილის სტატუსის მქონე - 200 მოქალაქე (63 ოჯახი)
- ეკომიგრანტი - 485 მოქალაქე (98 ოჯახი)
- სამამულო ომის მონაწილე - 11

4. ტრანსპორტი, გარემოს დაცვა და სოციალური ინფრასტრუქტურა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები, რომელთა სიგრძე 120 კმ-ია, შიდა მნიშვნელობის გზების სიგრძე კი 330,7 კმ-ია; ამჟამად რეაბილიტირებულია 100კმ. რეაბილიტაციას საჭიროებს 230კმ.

მუნიციპალიტეტში 29 ხიდია. აქედან 20-ის მდგომარეობა არის დამაკმაყოფილებელი. 9 ხიდი საჭიროებს მცირე რეაბილიტაციას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემის სიგრძე შეადგენს დაახლოებით 1000 კმ-ს. ამჟამად მიმდინარეობს წყლის სისტემის რეაბილიტაცია ქ.საგარეჯოში და სოფ.უდაბნოში 250 კმ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სარწყავი არხის საერთო ფართი 630 კმ-ია, საკანალიზაციო ქსელის სიგრძე 15 კმ-ია. საწიროა დაემატოს 2კმ კანალიზაციის სისტემა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების სერვისი ხორციელდება: ქ.საგარეჯო, სოფ.გიორგიწმინდა,სოფ.თოხლიაური, სოფ.მანავი, სოფ.ნინოწმინდა,

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს მყარი ნარჩენების მართვის 1 სისტემა, რომელიც მდებარეობს ქ.საგარეჯოში. რაც შეეხება ნარჩენების გატანას, მომავალ წლებში იგეგმება მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის ათვისება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი გაზის ქსელის საერთო სიგრძე 376197 მ-ია. გაზიფიცირებულ აბონენტთა რაოდენობა 12412 ოჯახს შეადგენს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მაგთიკომის, ჯეოსელისა და ბილიანის ფიჭური კავშირგაბმულობა და სილქნეტისა და დელტაკომის ინტერნეტის საკომუნიკაციო კომპანიები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტს ელექტროენერგიით უზრუნველყოფს „კახეთის ენერჯო დისტრიბუცია“, ხოლო გაზომარაგებას ახორციელებს შ.პ.ს „სოკარ ჯორჯია გაზი“.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი დოკუმენტი

მუნიციპალიტეტში ყურადღება ექცევა გარემოს დაცვით ღონისძიებებს: ხდება სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია, ხევების კალაპოტის გაწმენდა, ნარჩენების გატანა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

- სამედიცინო დაწესებულებები:

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შემდეგი სამედიცინო დაწესებულებები:

შ.პ.ს მრავალფუნქციური სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ჯეო ჰოსპიტალსი“, რომელიც გათვლილია 25 საწოლზე და დასაქმებულია 65 ექიმი;

შ.პ.ს „ლაიფი“- სამშობიარო მეან-გინეკოლოგიის განხრით, რომელიც გათვლილია 10 საწოლზე და დასაქმებულია 38 ექიმი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 16 ამბულატორია, სადაც დასაქმებულია 27 ფიზიკური პირი (ექიმი). მუნიციპალიტეტს ემსახურებ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების 3 მანქანა და ექიმთა სამი ბრიგადა.

გავრცელებული ენდემური დაავადებაა ბრუცელოზი, რომლის 38 შემთხვევა დაფიქსირდა 2015 წლის განმავლობაში.

- განათლების ობიექტები

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 27 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, აქედან 6 საბავშვო ბაღი ქალაქშია, ხოლო 21 კი - სოფლებში, გარდა ამისა, სოფელ ლამბალოში 2 ალტერნატიული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა. იგეგმება 3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. რეაბილიტაციის შემდეგ არსაზრდელთა რაოდენობა მოიმატებს 50 ბავშვით. მუნიციპალიტეტში სკოლამდელ აღზრდას კოორდინაციას უწევს ა.(ა)ი.პ. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“. მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯს. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში რეგისტრირებულია 1414 აღსაზრდელი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 26 საჯარო და 2 კერძო სკოლაა. აქედან 4 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს ქ. საგარეჯოში, 22 კი - სოფლებში. მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საჯარო სკოლებში სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 7129-ს შეადგენს. ხოლო პატარძეულის კერძო სკოლაში 96 მოსწავლე იღებს განათლებას, ქ. საგარეჯოს კერძო სკოლა „გარეჯელში“ კი - 22 მოსწავლე.

5. კულტურული და სპორტული დაწესებულებები / მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობა;

მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის დაწესებულებებია:

- საგარეჯოს მ. ჭიაურელის სახელობის კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრი;
- საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკა;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი დოკუმენტი

- სოფ. პარაძეულის სასოფლო ბიბლიოთეკა;
- სოფ. კაკაბეთის სასოფლო ბიბლიოთეკა;
- საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
- გიორგი ლეონიძის სახელობის სახლ-მუზეუმი - სოფ. პატარძეული;
- ვანო მჭედლიშვილის სახელობის საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის სახელოსნო;

სპორტის ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს ა.(ა)ი.პ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანება“ . მუნიციპალიტეტში მდებარეობს შემდეგი სპორტული ობიექტები:

ქ. საგარეჯო: საფეხბურთო სტადიონი, საჭიდაო დარბაზი, კორტები, საცურაო აუზი, ასფალტსაფარიანი მოედანი;

რამდენიმე სოფელში არსებობს სპორტული ინფრასტრუქტურა, რომელიც რეაბილიტაციას საჭიროებს:

- სოფელი ხაშმი: საჭიდაო დარბაზი;
- სოფელი პატარძეული: რაგბის სტადიონი, საჭიდაო დარბაზი;
- სოფელი ნინოწმინდა: ხელოვნურსაფარიანი მოედანი;
- სოფელი გიორგიწმინდა: ასფალტსაფარიანი მოედანი;
- სოფელი თოხლიაური: საჭიდაო დარბაზი;
- სოფელი კაკაბეთი: საჭიდაო დარბაზი;
- სოფელი პატარა ჩაილური: საჭიდაო დარბაზი;

მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები:

- მუნიციპალიტეტში არის დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, რომელსაც მუდმივად სტუმრობენ მომლოცველები და ტურისტები.
- ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსი; ელია სვეტიცხოველი; წმინდა გიორგი; წმინდა კვირიკე; უძო; ღვთისმშობელი; წმ. ანასა და წმ. კვირიკეს სახელობის ეკლესია - სოფლები ნინოწმინდა და წყაროსთავი;
- ღვთისმშობელი; კოშკები; წმინდა გიორგი; ღვთისმშობელი; კვირაცხოველი; მოსალოცი; ღვთისმშობელი; პირიქითა - სოფელი გიორგიწმინდა;
- კვირაცხოველი; ღვთისმშობელი - სოფელი ანთოკი;
- წმინდა მარინესა და წმინდა გიორგის სალოცავები - სოფელი მარიამჯვარი;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი დოკუმენტი

- დედა ღვთისმშობელი (სასაფლაოს ტერიტორია); წმ. გიორგის სახელობის ეკლესია; მთავარმოწამე; ღამურას საყდარი; უსახელო ეკლესია; სამების ეკლესია - სოფელი თოხლიაური;
- პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესია; ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია; ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია; დოდო გარეჯელის სახელობის ეკლესია; ღვთისმშობელი; კვირაცხოველი; ქვლივიძეების კოშკი; წმინდა მარინე; თავწმინდა გიორგი; ღვთისმშობელი; შიოს სახელობის ეკლესია; კოშკი; წმინდა გიორგი; მთავარმოწამე; ყვავის საყდარი; წმინდა მარინე; ყორღანაშვილების საგვარეულო ეკლესია; უსახელო ეკლესია; ლაშარის ჯვარი - ქალაქი საგარეჯო;
- ღვთისმშობელი; კოშკი (ბილანიშვილების); კოშკი(ფიცხელაურების); კვირაცხოველი; შიო მღვიმელის სახელობის ეკლესია; ხარების სახელობის ეკლესია; მთავარანგელოზი; ბასილანთ საყდარი; კიკიას საყდარი; წმინდა გიორგი; წმინდა გიორგი; კოპალე; წმ. ესტატე; ღვთისმშობლის სახელობის ნიშა და ეკლესიის ნანგრევები; ძველი აფთიაქის ნანგრევები; ნასახლარი (უნაფქოური); წმ. გიორგი (თათრიაანთ სალოცავი); ჯიღაურების სალოცავი; მტრედის საყდარი; ციხის მიწა; კოშკის ნანგრევები; კვირიკეს სახელობის ეკლესია; კვირაცხოველი; დიდელის სალოცავი; ჟატი (ნასახლარი); სათიბე (ნასახლარი); უსტიამვილების სალოცავი - სოფელი პატარძეული;
- სამების სამონასტრო კომპლექსი; წმინდა მარინე; ყოვლადწმინდა; წმინდა გიორგი; ნათლისმცემელი; ჩოლოყაშვილების კარის ეკლესია; ჩოლოყაშვილების სასახლე - სოფელი ხაშმი;
- მანავის ციხე; წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია; კალობანი-წმინდა გიორგი; კალობანი-ღვთისმშობელი; ვედრებელა; თელეთი; სამება; ბურდიანის უდაბნო-მონასტერი; ღვთისმშობელი; ქაშვეთი; ქალის ციხე; დაქცეული საყდარი; ოდიში; თათრის ციხე - სოფელი მანავი;
- ჩაილურის ციხე; წმინდა მარინე; კოპალეს წმინდა გიორგის სალოცავი; მოსალოცი; ბობოქარი; სამება - სოფელი პატარა ჩაილური;
- კავთა; ღვთისმშობელი; სამება; კუპატაძეანთ უბნის ეკლესია - სოფელი კაკაბეთი;
- ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია; წმინდა თევდორე; კვირაცხოველი - სოფელი შიბლიანი;
- სუთსარქისი; ღვთისმშობელი; ყველაწმინდა; წმინდა გიორგი- სოფელი ყანდაურა;
- ღვთისმშობელი; თელეთი - სოფელი ბადიაური;
- საყდარი სასაფლაოზე; მარიამ ღვთისმშობელი; უსახელო ეკლესია - სოფელი სასადილო;
- „ადგილის დედა“ - სოფელი ოთარაანი;
- უსახელო ეკლესია; „ადგილის დედა“ - სოფელი კოჭბაანი;
- უჯარმის ციხე; წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია; დათუნანთ საყდარი; კვირაცხოველი; ნათლისმცემელი - სოფელი უჯარმა;
- ავალიშვილების საგვარეულო ეკლესია - სოფელი პალდო;
- ღვთისმშობელი, ადგილის დედა; 6 უსახელო ეკლესია; ამაღლება - სოფელი ასკილაური;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი დოკუმენტი

- რუსიანის ციხე - სოფელი რუსიანი;
- ამაღლება; ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია - სოფელი გომბორი;

6. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ეკონომიკის წამყვანი დარგებია: ხორბლის ფქვილის, ღვინის, ქათმის/კვერცხის, თამბაქოს და აგურის წარმოება. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 3 მსხვილი მეფრინველეობის ფაბრიკა, 8 ღვინის ქარხანა.

ქ. საგარეჯოში მდებარეობს თამბაქოს გადამამუშავებელი საწარმო „პოსეიდონი“, ასევე არის რძის პროდუქტების გადამამუშავებელი ერთი მნიშვნელოვანი საწარმო, ხის და მერქნის გადამამუშავების სადურგლო და ავეჯის წარმოების სექტორში მოქმედებს შვიდი საწარმო, მათგან სამი ქ. საგარეჯოში მდებარეობს, ხოლო დანარჩენი პატარძელში, ნინოწმინდაში, გიორგიწმინდასა და ხაშში. ფუნქციონირებს სამშენებლო მასალების, კერძოდ, აგურისა და კერამიკული ფილების საწარმოები. სამშენებლო კლასტერი ასევე წარმოდგენილია მშენებლობაში გამოსაყენებელი პლასტმასის დამამზადებელი ორი და სამშენებლო ღორღის მომპოვებელი ერთი ორგანიზაციით. ფქვილს აწარმოებს ორი, ხოლო პურეულს - რვა კომპანია. სამი საწარმო ამზადებს უალკოჰოლო სასმელებს, მათ შორს ლიმონათს, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე იყიდება.

7. ხელისუფლება და ბიუჯეტი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტს ჰყავს პირდაპირი წესით არჩეული აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი - გამგებელი და 36 წევრისაგან შემდგარი წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო, რომლის 21 წევრი არჩეულია მაჟორიტარული, ხოლო 15 წევრი - პროპორციული სისტემით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით დაგეგმილია შემოსულობები 10179,1 ათასი ლარი, მათ შორის: გადასახდელები - 2600,0 ათასი ლარი; სხვა შემოსავლები - 1464,5 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების კლება - 165,02 ათასი ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერი - 5949,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი - 3060,5 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 210,0 ათასი ლარი; ფონდებიდან მისაღებია 2679,1 ათასი ლარი, მათ შორის: რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 2679,1 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის - 1 082 163 ლარი.

2016 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 2336,9 ათასი ლარი;
- თავდაცვა – 115,6 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა – 3706,0 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა – 2906,1 ათასი ლარი;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი დოკუმენტი

- საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 2135,5 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა – 119,5 ათასი ლარი;
- დასვენება და კულტურა – 1492,1 ათასი ლარი;
- განათლება – 1188,5 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა – 594,5 ათასი ლარი.

**III. მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების,
შესაძლებლობებისა და საფრთხეების
(SWOT) ანალიზი**

ინფრასტრუქტურა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<p>მუნიციპალიტეტის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა</p> <p>საერთაშორისო მნიშვნელობის გზებისა და სარკინიგზო კვანძის არსებობა</p> <p>ელექტროენერგიით მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა</p> <p>გარე განათებით დასახლების დიდი ნაწილის (მათ შორის სოფლების) უზრუნველყოფა</p> <p>მოწესრიგებული ძირითადი საგზაო ინფრასტრუქტურა</p> <p>ქ. საგარეჯოში სასმელი წყლის ქსელის გამართული ფუნქციონირება</p>	<p>სოფლების იერსახის არაადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა</p> <p>გაზიფიცირებულია ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ 85%. სოფლების ნაწილში მოსახლეობა არ არის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფილი</p> <p>მუნიციპალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა არ არის განვითარებული</p> <p>მუნიციპალური მნიშვნელობის საგზაო ინფრასტრუქტურის არაადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა</p> <p>ზოგიერთ სოფელში სასმელი წყლის სისტემა არ არსებობს</p>
შესაძლებლობები	საფრთხეები

საგარეოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადაიანი დოკუმენტი

<p>წყალმომარაგების ქსელის მომველებული ნაწილის სრული რეაბილიტაცია სახელმწიფო ფონდებიდაგ გამოყოფილი თანხებით</p> <p>მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია რგპფ-ის რესურსის გამოყენებით</p> <p>მუნიციპალური ცენტრსა და სოფლებში გარე განათების სისტემის მოწესრიგება</p> <p>ბუნებრივი აირით მოსახლეობის უზრუნველყოფა</p>	<p>ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი</p> <p>ბუნებრივი და სტიქიური მოვლენების გამო არსებული ინფრასტრუქტურის დაზიანება</p> <p>ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ფინანსური სახსრების უკმარისობა</p>
--	---

ეკონომიკა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<p>მუნიციპალიტეტის სტრატეგიული სატრანსპორტო ფუნქცია - მუნიციპალიტეტებს შორის დამაკავშირებელი კვანძი</p> <p>სიახლოვე ქ. თბილისის აეროპორტთან</p> <p>სამშენებლო ინდუსტრიისთვის საჭირო მნიშვნელოვანი რესურსული პოტენციალი -სხვადასხვა სახის აუთვისებელი წიაღისეულის მნიშვნელოვანი მარაგები: ნავთობი, ბუნებრივი აირი, მირაბილიტი</p> <p>კვალიფიცირებული და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები</p> <p>პურის, ღვინის, ხორცის, რძისა პროდუქტების წარმოება</p> <p>მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანა და წარმოება</p> <p>მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომსახურეობის საშუალებების არსებობა</p> <p>სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების არსებობა</p>	<p>მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის არარსებობა</p> <p>გრანტებისა და ინვესტიციების მოზიდვის სირთულე</p> <p>საგარეო სამრეწველო ბაზრებზე შეღწევის სირთულე</p> <p>ადგილობრივი ბიუჯეტის მწირი შემოსავლები</p> <p>უმუშევრობის მაღალი დონე და მიგრაცია</p> <p>მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ათვისების გეგმის არარსებობა</p> <p>ტურისტული ინფრასტრუქტურის, შესაბამისი მომსახურებისა და კადრების არადაამაკმაყოფილებელი დონე</p> <p>სადრენაჟო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა</p> <p>სოფლის მეურნეობის სექტორში დონორი ორგანიზაციების სიმცირე</p>
შესაძლებლობები	საფრთხეები

საგარეგოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადაიანი დოკუმენტი

<p>სახელმწიფოსა და დონორი ორგანიზაციების მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის სპეციალური პროგრამების ინიცირება</p> <p>მიტოვებული შენობა-ნაგებობებისა და ტერიტორიების ეფექტიანი გამოყენება</p> <p>მეზობელ მუნიციპალიტეტებთან და რეგიონებთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარების ხელშეწყობა</p> <p>შელავათიანი აგრო-კრედიტისა და დაზღვევის პროგრამების საკოორდინაციო მხარდაჭერა</p> <p>სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობი სახელმწიფო პროგრამების არსებობა</p>	<p>საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი</p> <p>სტიქიური მოვლენები</p> <p>ცხოველთა, ეპიზოოტიებისა და მცენარეთა დაავადებების გავრცელება</p>
--	--

ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

მლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<p>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მრავალფეროვნება</p> <p>მუნიციპალიტეტში ჯანდაცვის დაწესებულებების ფუნქციონირება</p> <p>მუნიციპალიტეტის ყველა თემის უზრუნველყოფა ოჯახის ექიმის მომსახურებით</p> <p>მუნიციპალიტეტის ყველა თემში სასწრაფო სამედიცინო მომსახურების მიწოდება</p> <p>საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო დაზღვევის და სხვა პროგრამის მოქმედება</p> <p>მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვების სისტემა</p>	<p>უმუშევრობის მაღალი დონე</p> <p>სიღარიბის მაღალი მაჩვენებლები</p>
შესაძლებლობები	საფრთხეები
<p>მოსახლეობაში ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა</p> <p>საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში</p>	<p>სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტებზე ღირებულების მატება.</p>

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ეფექტურობა.	
--	--

კულტურა, განათლება და ცხოვრების ჯანსაღი წესი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<p>კულტურისა და განათლების (სკოლამდელი) ობიექტების ფუნქციონირება</p> <p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში უფასო მომსახურება</p> <p>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მრავალფეროვნება</p> <p>სპორტის სხვადასხვა სახეობებში წარმატებული სპორტსმენების ყოლა</p> <p>სპორტული ინფრასტრუქტურის არსებობა</p> <p>წარმატებული შემოქმედებითი და სპორტული კოლექტივები</p> <p>პროფესიული გადამზადების სასწავლებლის და ინფრასტრუქტურის არსებობა</p> <p>ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდაჭერა</p>	<p>კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, არასათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და კომპიუტერული ტექნიკის ნაკლებობა</p> <p>სოფლებში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის არაადაპტაციონობა</p> <p>მდგომარეობა</p> <p>მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე</p> <p>ისტორიულ ძეგლებთან და კულტურის ობიექტებთან მისასვლელი გზებისა და კომუნიკაციების მოუწესრიგებლობა</p>
შესაძლებლობები	საფრთხეები
<p>კულტურის, სპორტის და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია</p> <p>ისტორიულ-კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზებისა და ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია</p> <p>კულტურის, განათლების და სპორტის სფეროში კადრების გადამზადების ხელშეწყობა</p> <p>კულტურული ტურიზმის სისტემის ხელშეწყობა</p> <p>ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა</p> <p>ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები</p>	<p>ბუნებრივი კატაკლიზმები</p> <p>ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი</p>

--	--

გარემოს დაცვა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<p>მუნიციპალიტეტის მდიდარი ბიომრავალფეროვნება</p> <p>გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა და კომუნიკაცია</p> <p>ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ინტეგრირებული სისტემა</p>	<p>გამწმენდი ნაგებობების არარსებობა, საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობა</p> <p>ტყეების არადაამაკმაყოფილებელი სანიტარული მდგომარეობა</p> <p>განადგურებული ქარსაცავი ზოლები</p>
შესაძლებლობები	საფრთხეები
<p>მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით საკითხებში</p> <p>ენერგოეფექტური ტექნოლოგიების წახალისება</p>	<p>ბუნებრივი სტიქიები</p> <p>სატყეო ფონდის შემცირება და გარემოს დეგრადაცია</p>

IV. მუნიციპალიტეტის ხედვა და საშუალოვადაიანი მისია

ა) მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადაიანი ხედვა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი კახეთის მხარის კარგად განვითარებული მუნიციპალიტეტია, სადაც მოსახლეობის ცხოვრებისა და ბიზნესის საქმიანობისთვის ყველა პირობაა შექმნილი. განვითარებულია სოფლის მეურნეობა, მოქალაქეები არსებული პირობებისა და თავისი ინტერესების შესაბამისად ჩართულნი არიან ადგილობრივი მნიშვნელობის სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში, მუნიციპალიტეტში ათვისებულია და მაღალეფექტურად გამოიყენება ბუნებრივი რესურსები, მუნიციპალიტეტში საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა გამართულად ფუნქციონირებს, აქ შექმნილია პირობები მომავალი თაობებისათვის კულტურული მემკვიდრების დაცვისა და შენარჩუნებისთვის. ხელმისაწვდომია ეფექტური სოციალური მომსახურეობა.

ბ) მუნიციპალიტეტის საშუალოვადაიანი მისია

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მისიაა მომხმარებელზე ორიენტირებული ხარისხიანი მომსახურეობის გზით ხელიშეუწყოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მუნიციპალიტეტის მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, სოფლის მეურნეობის, რესურსების ეფექტურად გამოყენებისათვის

ხელშემწყობი გარემოს შექმნას, სკოლამდელ და საზოგადოებრივ განათლებას, გენდერულ თანასწორობას, კულტურას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას.

ამ მისიის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, დონორებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა სპექტრთან.

V. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები

წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები და მათი შესაბამისი შედეგები, რომელთა დადგომაც ივარაუდება შემდგომი 4 წლის განმავლობაში შესაბამისი მუნიციპალური პროექტებისა თუ პროგრამების განხორციელების შედეგად.

პრიორიტეტი 1: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
<p>ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none">1.1 ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია1.2 გარე განათების აღდგენა1.3 სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია1.4 საკანალიზაციო სისტემის გაყვანა <p>შედეგები:</p> <ul style="list-style-type: none">1.1 ადგილობრივი მნიშვნელობისა და სასოფლო გზების გამტარიანობა და უსაფრთხოება გაზრდილია1.2 ქუჩები განათებულია1.3 მოსახლეობა ხარისხიანი წყლით უზრუნველყოფილია1.4 ფუნქციონირებს საკანალიზაციო სისტემა

პრიორიტეტის დასაფინანსებლად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 4 000 000 ლარის გამოყოფა 2017-2020 წლებში. დამატებით, საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე 2017-2018 წლებში გამოიყოფა 5 000 000 მილიონი ლარი.

პრიორიტეტი 2: საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გარემოს დაცვა და ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია
<p>ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none">3.1 ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება3.2 მყარი ნარჩენების მომსახურების უზრუნველყოფა3.3 ეროზიული და მეწყერული პროცესების პრევენცია <p>შედეგები:</p> <ul style="list-style-type: none">3.1 ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ზიანის რისკი შემცირდება3.2 შენარჩუნებული იქნება სუფთა გარემო, შემცირდება დაავადებების გავრცელების რისკი,

სურსათის უვნებლობა და მუნიციპალიტეტის იერსახე მიმზიდველი გახდება.
3.3 ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ზიანის რისკი შემცირდება

პრიორიტეტის დასაფინანსებლად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაგეგმილია 1 000 000ლარის გამოყოფა 2017-2020 წლებში.

პრიორიტეტი 3: სოციალურად დაუცველი ფენების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული მუნიციპალური სოციალური პოლიტიკის განხორციელება

ღონისძიებები:

- 4.1 სოციალურად დაუცველი ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილება
- 4.2 შშმ-ებისათვის სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობების უზრუნველყოფა

შედეგები:

- 1.1 სოციალურად დაუცველი ჯგუფების ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესდება
- 1.2 შშმ-ს ინტეგრირების დონე გაიზრდება და ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესდება

პრიორიტეტის დასაფინანსებლად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაგეგმილია 2 400 000 ლარის გამოყოფა 2017-2020 წლებში.

პრიორიტეტი 4: საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ღონისძიებები:

- 5.1: სკოლამდელი განათლების დაწესებულებათა მშენებლობა და რეაბილიტაცია

შედეგი

- 5.1 სკოლამდელი განათლების მიღებისთვის თანამედროვე გარემო შეიქმნება

პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2017-2020 წლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაგეგმილია 7 000 000 ლარის გამოყოფა. დამატებით, საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე 2017-2018 წლებში გამოიყოფა 2 000 000 ლარი.

პრიორიტეტი 6: საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია

ღონისძიებები:

- 6.1 სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება (მინიმოდენები, კორტები, სპორტული კომპლექსები და ა.შ.)
- 6.2 სპორტული კლუბების მხარდაჭერა

შედეგები:

- 6.2 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებში გაიზრდება სპორტულ მიღწევათა რიცხვი ჯანსაღი ცხოვრებით მაცხოვრებელთა რიცხვი გაიზრდება; ახალგაზრდები და ბავშვები

თავისუფალ დროს ნაყოფიერად გაატარებენ, მოსახლეობის ამ ჯგუფში მავნე ჩვევებისა და ზედმეტი წონის მაჩვენებლები შემცირდება

პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2017-2020 წლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 2 400 000 ლარის გამოყოფა.

პრიორიტეტი 7: საგარეჯოს მუნიციპალიტეტში კულტურის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობა

ლონისძიებები:

- 7.1 შემოქმედებითი ჯგუფების მხარდაჭერა
- 7.2 კულტურის სახლებისა და ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
- 7.3 კულტურის ძეგლების რესტავრაცია

შედეგები

- 7.1 შემოქმედებითი ჯგუფები შემოქმედებას უფრო მრავალფეროვნად გამოამყვანონ
- 7.2 მოსახლეობა შეუფერხებლად და კომფორტულ გარემოში ისარგებლებს კულტურული სახლებისა და ბიბლიოთეკების მიერ შემოთავაზებული სერვისებით
- 7.3 კულტურის ძეგლები შენარჩუნებული იქნება და ტურისტების მოზიდვის შესაძლებლობა გაიზრდება

პრიორიტეტის დასაფინანსებლად 2017-2020 წლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაგეგმილია 1 800 000 ლარის გამოყოფა. დამატებით, საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან 2017-2018 წლებში გამოიყოფა 500 000 ლარი.

ფინანსური მაჩვენებლები პრიორიტეტების მიხედვით

დასახელება	2016 წლის გეგმა	2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
პრიორიტეტი 1: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	3 500 000	3 500 000	1 000 000	1 000 000	1 000 000
პრიორიტეტი 2: საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გარემოს დაცვა და ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია	250 000	250 000	250 000	250 000	250 000
პრიორიტეტი 3: სოციალურად დაუცველი ფენების	600 000	600 000	600 000	600 000	600 000

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი დოკუმენტი

საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული მუნიციპალური სოციალური პოლიტიკის განხორციელება					
პრიორიტეტი 4: საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	2 250 000	2 250 000	1 750 000	1 750 000	1 750 000
პრიორიტეტი 5: საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია	600 000	600 000	600 000	600 000	600 000
პრიორიტეტი 6: საგარეჯოს მუნიციპალიტეტში კულტურის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობა	950 000	950 000	950 000	950 000	950 000
ჯამი					